ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №227

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 16 ივნისი 2015 წ.

ერთის მხრივ **თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი,** *მისამართი: ბორჯომი მესხეთის ქ. №5, წარმოდგენილი გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)*

და მეორეს მხრივ ***ინდივიდუალური მეწარმე ამბროსი ახნაზაროვი,*** *მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. №5, საიდენტიფიკაციო კოდი 11001007429 (შემდგომში "მიმწოდებელი")*

მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა განახორციელა **საწმენდი და საპრიალებელი, ჰიგიენური პროდუქციის** (CPV 18141000, 19640000, 33761000, 39525000, 29295000, 39800000,) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **417 (ოთხას ჩვიდმეტი) ლარი და 20 თეთრი** (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება")

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. საქონლის მიწოდების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი (დანართი №1).

2.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი შემდეგ მისამართზე: ბორჯომი, მესხეთის ქ. №5.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთიანად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

"შემსყიდველი"----------

"მიმწოდებელი"----------

5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქოკოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

“შემსყიდველი” _____ ”მიმწოდებელი” _____

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაში. დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს სააღსრულებო დაწესებულებას (როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ.

11. გამოყენებული სამართალი

11.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

13. შეტყობინება

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 31 ივლისამდე.

16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხ. მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით, რისკით.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი" ----------

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი" – თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961, მისამართი: ბორჯომი მესხეთის ქუჩა №5. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, სახაზინო კოდი 300629800, ბანკის კოდი TRESGE22, ხაზინის ერთიანი ანგარიში სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი;

---------- დ. ყიფიანი

ბ. ა.

"მიმწოდებელი" – ინდ. მეწარმე ამბროსი ახნაზაროვი, ბორჯომი, მესხეთის ქ. №5, ს.ს. „თიბისი ბანკი" ა/ანგ №GE93TB0166636010100055, ბანკის კოდი TBCBGE22, საიდენტიფიკაციო კოდი 11001007429.

---------- ა. ახნაზაროვი

ბ. ა.

"შემსყიდველი" ----------

"მიმწოდებელი" ----------

დანართი 1.

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა
1	2	3	4	5	6	7
1	სამეურნეო ხელთათმანი	18141000	12	1,20	14,40	რულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში
2	ნაგვის პაკეტი	19640000	4	3,75	15,00	
3	ტუალეტის ქაღალდი	33761000	64	0,80	51,20	
4	მტვრის საწმენდი ტილო	39525100	4	0,60	2,40	
5	მაგიდის საწმენდი ტილო	39525800	4	3,35	13,40	
6	ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი	39525600	6	0,50	3,00	
7	სამზარეულოს სახეხი	39831200	1	2,40	2,40	
8	ჰაერის გამწმენდი აეროზოლი	39811300	6	2,40	14,40	
9	ტუალეტის საწმენდი სითხე	39831600	6	3,85	23,10	
10	სახეხი ფხვნილი	39831600	1	4,70	4,70	
11	სარეცხი ფხვნილი	39831200	1	3,50	3,50	

12	იატაკის სითხე	39831300	5	11,70	58,50	ხელშეკ
13	ლამინირებული იატაკის სითხე	39831300	10	4,70	47,00	
14	იატაკის საწმენდი სითხე	39831300	4	17,60	70,40	
15	მინის საწმენდი სითხე	39830000	2	4,40	8,80	
16	ავეჯის საწმენდი	39830000	4	2,90	11,60	
17	იატაკის საწმენდი ჯოხი	39295000	2	36,70	73,40	
	სულ				417,20	

"შემსყიდველი" _____ დ. ყიფიანი

"მიმწოდებელი" _____ ა. ახნაზაროვი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ №-227

ბორჯომი 16 ივნისი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საწმენდი და საპრიალებელი, ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის განხორციელებაში მონაწილე მიმწოდებელთან ინდივიდუალურ მეწარმე ამბროსი ახნაზაროვთან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი — დიმიტრი ყიფიანი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე — ანზორ სვანიძე

მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი — მაია მახარაშვილი

ბორჯომის მუნიციალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — მიხეილ ხითარიშვილი